KA030161194727820

№ 01-4985 **20 / მაისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის მოადგილის გიორგი წოწკოლაურის

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ კორონავირუსის პანდემიაზე ეფექტური რეაგირების მიზნით, მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი სესხის (სესხის ნომერი #9113-GE) ფარგლებში გათვალისწინებულია სამედიცინო აპარატურის, პერსონალური დაცვის საშუალებებისა და კორონავირუსის სადიაგნოსტიკო ტესტების შესყიდვა.

სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის და სამედიცინო დაწესებულებების პირველადი საჭიროებების, ასევე მომწოდებლების მიერ წარმოდგენილი საქონლის ფასისა და მოწოდების ვადების გათვალისწინებით, მსოფლიო ბანკს ეთხოვა შვეიცარული კომპანია „HAMILTON MEDICAL"-ის მიერ წარმოებული 20 ცალი პორტატული სუნთქვის აპარატის და ჩინური კომპანია "Mindray"-ის მიერ წარმოებული 30 ცალი სტაციონარული სუნთქვის აპარატის შესყიდვის უზრუნველყოფაში მხარდაჭერა.

კომპანია „MDS LTD"-ის მიერ მოსაწოდებელი „HAMILTON MEDICAL"-ის პორტატული სუნთქვის აპარატის ერთეულის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 15 500 აშშ დოლარს (საქონლის მოწოდება ხდება სამ ეტაპად. მესამე ეტაპზე მოსაწოდებელ საქონლის ფასის სხვაობა გამოწვეულია პირველ და მეორე ეტაპზე მოსაწოდებელი აპარატების აქსესუარების მესამე ეტაპზე მოწოდებით), ხოლო კომპანია „LLC MTECH"-ის მიერ მოსაწოდებელი "Mindray"-ის სტაციონარული სუნთქვის აპარატის ერთეული ღირებულება - 13 500 აშშ დოლარს. მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული ფასების კვლევის შედეგად, პორტატული სუნთქვის აპარატების სავარაუდო ღირებულებაა 15 576 დოლარი, ხოლო სტაციონარული აპარატების - 21 000 დოლარი.

სუნთქვის აპარატების შესყიდვის პროცედურა შეთანხმდა მსოფლიო ბანკის სათაო ოფისთან და მიღებულ იქნა დასტური „LLC MTECH"-სა და „MDS LTD"-თან შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმებისა და სუნთქვის აპარატების შესყიდვის თაობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ მსოფლიო ბანკის მოთხოვნების/რეგულაციების შესაბამისად მომზადებულ შესყიდვის ხელშეკრულების პროექტებს თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ ხელშეკრულებების ხელმოწერას და შესყიდვასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

გიორგი წოწკოლაური